25 მაისი, 1908 წ. ფასი ყველგან 10 კ.

იუმორისტ. ჟურნალი

ეშმაკის მათრახი

№ 32

მამაპაპური „ექსპერტიზა"

ეჭვი, — დედაა კრიტიკის,
კრიტიკა, — განვითარების,
სურათის ფხეკა ექსპერტებს
აროდეს დაეზარების.

(იხ. მე-2 გვ.)

ექსპერტიზა.

საზღაპრო რამეს გიამბობ
და გთხოვ მომაპყრა ყური მე,
შეისმინ-შეიხმატკბილო
მკითხველო შენი ჭირიმე.
ანდაზა ამბობს: „ყოველმან
ვერა სცნოს ხურმის ხილობა“,
რამეთუ საქმის გაგებას
ჰხამს მცირე გამოცდილობა.
ჩექმისა კარგათ მკერავი
ჩექმასა იკერებოდეს,
ვერ შესძლოს მხატვრათ გახდომა
რაზომ არ იბერებოდეს,
ეგრედ ლექსებსა მხოლოდ-ღა
აკაკი იწერებოდეს.

დაპირებული ამბავი ნამდვილი პროზაა ჩვენი ცხოვრებისა. საზღვარ გარეთ სწავლობს მხატვარი ქალი ბარათაშვილი, რომელსაც განუზრახავს ილიას სურათის დახატვა. განუზრახავს და დაუხატავს კიდევაც სპილოს ძვალზე. რადგანაც მხატვარი ქალი ცოტა არ იყოს ხელ-მოკლეთ ყოფილა განუზრახავს სურათის სამშობლოში გამოგზავნა, რასაკვირველია იმ მოსაზრებით, რომ მრავალ თაყანის-მცემელთაგან ვინმე შეიძენდა ნახატს და მცირე სასყიდელს მხატვარ ქალს მიაწოდებდა. სურათი მოსვლია „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ და ყიდვაც გადაუწყვეტია. მაგრამ დახეთ ხათაბალას!! ვერ გაუგიათ სურათი ნამდვილია თუ ატყუებს მათ მხატვარი და გადაუწყვეტიათ „საკუთარი საშუალებით“ შემოწმება. აი ამ მოსაზრებით:

შემოკრბა სინედრიონი
თავისი ცოდო-მადლითა..,
უნდა განზომოს მხატვრობა
მან საკუთარი ადლითა.
მოაქვთ „სამხატვრო“ ხელსაწყო:
ნიორი, ხახვი, დანები,
სანაგვე ჩოთქი, სიმჟავე...
ბევრი სხვაც ამისთანები...
დაუწყეს ფხეკა ერთგული,
სიმჟავეც მოასხურესა.
ხან წყალში გააბანავეს,
ხან ალზე გაახურესა.
ხან ნიორ-ხახვით შელესეს,
ხან ჩოთქით გადახეხესა,
მაგრამ არ იქნა.... მხატვრობას
ვერა რა მოუხერხესა.

თუმცა სულ ვერაფერი მოუხერხესო არ ითქმება. მოუხერხეს ისა, რომ ხელოვნების ნაწარმოებს დაუკარგეს თავისი შნო და ლაზათი.

ვისურვოთ, მომავლისათვის
არ უღალატონ მცნებასა
და მეჩექმენი არ სჯიდენ
სამხატვრო ხელოვნებასა.

ეშმაკი.



ბ ლ ე ხ ს.

სისხლის ოფლათ დაიცალე,
გამოფიტდი, გეკრთო ფერი,
გაძვალტყავდი, მაგრამ მაინც
არ გეშველა არაფერი!
ცელ ნამგალი ალაბ გიჭრის,
დაგიჟანგდა ბარი, თოხი,
და სიმშილის გადამკიდეს
ბნელ სამარედ გექცა ქოხი.
ურემს თვალი გაგივარდა,
სახნისს პირი გაგეცვითა,
ყანა გოლვამ ამოგიხმო
მოთესილი ოფლის ღვრითა.
ნიშა გზირმა გამოგტაცა,
ნიკორა კი გასცეს ვალში
და თუ რამ სთქვი,—გიმათრახეს,
დაგამცირეს ქვეყნის თვალში.
ცხოვრებაში ტანჯვის მეტსა,
დამერწმუნე, ვერას ნახავ!
მხოლოდ ისევ საიმედოთ
მომავალს თუ დაისახავ...
მომავალი! დიახ, იგი
გვიორკეცებს სასოებას
რომ ჩაგრულიც, მოვა დრო და...
ეღირსება ლხენა-შვებას
მხოლოდ დღიდან მომავლისთვინ
გაბედულად იწყე ბრძოლა,
თორემ აბა რას მოგიტანს
დუმილი და მტრის წინ თრთოლა?!
ესეც უნდა დაიხსომო,
ცხოვრებისა კანონია,

რომ ვინც შენებრ არ იტანჯვის,
მოკავშირე ნუ გგონია!
მხოლოდ იგი, ვისაც შენებრ
ეგ სოფელი მწარეთ სტანჯავს,
ჭირში იგი გიერთგულებს
და ხელს იგი მოგიმართავს!
ის კი, შენებრ შრომის შვილი,
ბოგანოა, არ რის მქონე
და ბრძოლაში მას მიემხრე,
ჭირშიც, ლხინშიც მოიგონე!

ნ. ზომლეთელი.



ამონაკვნესი.

მზე დიდებული, შუქ მოელვარე
ლაჟვარდ სივრცეში წყნარათ დასცურავს
და მწვანით მოსილ არე-მარესა
სხივების გვირგვინს თავზე ახურავს!
ტყე იფურჩქნება, ია იშლება,
ტურფათ ბიბინებს ეზო-მინდორი
და იქარგება ვარდ-ყვავილებით
ხელის გულივით გაშლილი, სწორი!
გრილი ნიავი ფრთა გაშლით დაქრის,
ცელქი მთას და ბარს თავსა ევლება,
და შრიალობენ ბუჩქ-ბალახები,
ფოთოლი ფოთოლს გულში ეკვრება!
გაზაფხულისა მახარობელი—
მერცხალი მდელოს თავს დასტრიალებს,
ხან შეეხება მას ოდნავ მკერდით,
ხან კი ჰაერში გაისრიალებს!
აქ შაშვი გალობს, იქ კი ბულბული
უცხო რამ ხმაზე აჟღერებს ჩანგსა
და არე მარე, სმენათ ქცეული,
ხარბათ ყურს უგდებს მომხიბლავ ჰანგსა!
ვიშ რა დღე არის! ყოველ არსებას
ატკბობს, ახარებს სიცოცხლის ძალა!
დღეს ჩემი გულიც ტკბილათ ატოკდა
და ოცნებამაც ფრთები გაშალა!
მაგრამ, ვაი, რომ წამის გამოდგა
ეს აღტაცება, ეს სიხარული,
თვალ-წინ დამიდგა ჩვენი ცხოვრება
ტანჯვის მორევათ დაგუბებული!
და მომაგონდა ტანჯული ხალხი
შავ-ბნელ ძალისგან დამონებული,
უსამართლობის სასტიკ ბრჭყალებში
მწარეთ მკვნესარე, დაწყლულებული.
და მყის დაუშვა ოცნებამ ფრთები,
ზედვე დაემსხვრა სინამდვილის გრდემლს
და კვლავ აკვნესდა ობოლი სული,
ველარ ვიკავებ მოზღვავებულ ცრემლს!
ოხ, როდის დაკრავს ნეტარი წამი,
ძირს დაემხობა უსამართლობა,
შეწყდება კვნესა, შეწყდება ცრემლი,
გაქრება ჩაგვრა, ძალმომრეობა:
სიმართლის დროშა აფრიალდება,
ტახტზე დაჯდება თავისუფლება
და მის სხივებ ქვეშ ბედნიერების
ტურფა ყვავილი გაიფურჩქნება!!

ვ. ჩახრუხაძე.

ქ ა რ ს

(ციხის მელოდია)
(უძღვნი დ. ნინოწმინდელს).

ფიქრებს ნუ მიშლი გიჟურ სტვენით კვნესა-ყიჟინით,
ნუ, ნუ მიმატებ წყლულზე წყლულს და დარდზე დარდებს,
ვის შერჩენია, რომ შენ შეკრჩეს მარად ერთი დრო,
დაჰკრავს საათი—ნავისთვის გამოიდარებს.
და ის, ჩაგრული, დღეს რომ სადღაც გადამალულა,
ელამუნება უსიტყვო ჩირგვს, ბაღში ხეებსა,
შენის ქროლით რომ ციხის სარკმელს ვერ ეკარება,
პასუხს ვერ გვანდობს მისებრ დევნულთ, მისებრ ტყვეებსა.
ის ფრთებს აისხავს, ფაფარს ირევს, მეხათ იქცევა,
შეეფეთება დრუბელთ სრბოლას, დასჭექ-დაჰგრგვინებს,
და გადამწყვეტი, გმირულ ბრძოლის დაწყების ამბავს,
კვნესა – გმინვითა, ნაცნობ ჰანგით შეგვატყობინებს;—
შენ კი ჩაგქოლვენ!...
ნუ, ნუ იწვევ მწარე ფიქრებსა;
შენებრ თავხედთა ნახე ბინა, ნახე სახლ-კარი
და დარბაზებში განცხრომის შვილთ ნეტარების ჰიმნს
კვნესა – ყიჟინით, გიჟურ სტვენით ბანი უთხარი,—
მიგიხვდებიან... მე ნუ მიმღერ... მე სულ სხვას
ვეტრფი...
მე ნიავს ვეტრფი,—დასჩურჩულებს ბაღში ხეებსა..—
ჩვენსკენ, ნანატრო, ციხის სარკმლებს დაუახლოვდი,
ნუღარ მოუვაკლებ შენს სევდის ხმებს შენებრ ტყვეებსა!..

იასამანი.



ქუთაისის ბულვარი.

მოხსენება.

ქუთაისის რევიზიის.

(გაგრძელება)

ქუთაისი მტვერში იხჩვება. ჩვენი ქალაქის გამგეობის ყურადღება დღეს იქითკენაა მიმართული, თუ რა რიგ შეავიწროვოს მოქალაქენი: ოღონდ რამე ნაირათ ქალაქის კასა აავსონ და თუგინდ ამიზა ყველა მოქალაქენი ერთ ვინმე მევახშეს დაუგირაონ. ფულს მარჯვეთ დაეძებენ, ოღონდ ის კი არ ახსენდებათ, რომ მათ მოვალეობას გარდა ფულის შეკრებისა და ჯამაგირების ღებისა სხვა რამეც შეადგენს, მაგალითათ, ქალაქის სისუფთავეზე ზრუნვა. დღეს ათასგვარი სენი მძვინვარებს აქ, ქალაქი კი მტვერში და სიბინძურეში იხჩობა. განაპირა ადგილებს ჯანი გავარდეს, შუა გულ ქალაქშიდაც, უპრავას ცხვირ წინ არ გაევლება კაცს. ლომებივით ცხენები ფარდულებში უბიათ, დღეში ერთხელ მაინც მორწყან ქუჩები! მეტი დარდი არაფერი აქვთ რალა!

ქუთაისში ელექტრონის ტრამვაი გაყავთ. ვისაც ქუთაისის ბულვარი უნახავს, არ შეიძლება ის აქაურ „ლოსტებს“ არ იცნობდეს. ესენი ჩექმის მწმენდელი პაწია ბიჭები არიან, შთამომავლობით ბერძნები. წინეთ თუ მათხოვრობას ეწეოდენ, დღეს საწყლები თითო-ოროლა კაპიკს შოულობდენ და მითი გაქონდათ თავი. ფულის ძებნაში კარგათ დახელოვნებულ ჩვენ უპრავას, მოუსურვებია მათზე გადასახადის დადება და კიდეც შედგომია საქმეს. როგორც ნამდვილი წყაროებიდან გავიგეთ, ქალაქის მამებს კოტე ბაქრაძისა და ფანცხავას თაოსნობით განუძრახავთ „ლოსტებიდან აღებული ფულით ერთი ახალი „მიხაილოვი“ გამოიწერონ და მიანდონ მას ქუთაისში ელექტრონის ტრამვაის გაყვანა. გადარჩენილი ფულებით „ვოდოპროვოდს“ უპირებენ დათავებას. ღმერთმა ხელი მოუწყოს!

Авгіевы конюшни. ქუთაისს ეწვია ჩვენი ცნობილი ნიჭიერი არტისტი ლადო მესხიშვილი. ერთი წარმოდგენა უკვე დადგა და კიდევ სამ წარმოდგენაში აპირებს მონაწილეობის მიღებას. როგორც მოსალოდნელი იყო საზოგადოება საყვარელ არტისტს დიდი აღტაცებით მიეგება. მხოლოდ სამწუხარო და სავალალო ისაა, რომ ლადო მესხიშვილი ჩვენი სცენიზა გასტროლიორათ ითვლება. პირადათ მესხიშვილი აქ არაფერ შუაშია. იმ ატმოსფერაში, რომელიც შექმნეს ქართული სცენის გარშემო „ღვთიური ნიჭით“ აღვსილმა ჩვენმა არტისტებმა, კაცს ცხოვრება არ შეუძლია. და განა მარტო მესხიშვილია ჩვენი სცენიდან გარიყული? სად არის არტისტი მარჯანოვი? იცის თუ არა საზოგადოებამ, რომ ის რუსეთში ერთ საუკეთესო რეჟისიორათ ითვლება? ჩვენში კი გუნიები რეჟისიორობენ. როდის მოესწრობა ჩვენ „ავგიევის თავლებს“ გაწმენდა.

სოციალისტია მა რა ჯანაბაა! საერთოთ ქუთაისის მუშები დღეს დიდ გასაჭირს განიცდიან. ყველამ მოისურვა დღევანდელი რეაქციონული კარბუქით სარგებლობა და მათზე ილაშქრებენ. ბრძოლა გამოუცხადენ მკერავებმა თავიანთ ქარგლებს და მფარველი ანგელოზების შემწეობით კიდეც მიაღწიეს თავიანთ მიზანს, იბრძვის ფირალოვიც, იბრძვიან სხვა აქაური ალა ბატონებიც. მაგრამ ისე სასტიკათ იერიში მუშებზე არც ერთ ბურჟუაზიას არ

მოუტანია, როგორიც კლუბში ხელზე მოსამსახურეებზე, ვითომ სიციალისტმა შავი ქვის საბჭოს ცნობილი ბუხგალტერმა საშა კრინიციკიმ. დღე არ ვავა ისე, რომ მუშებს რაიმე ძველათ მოპოებული უფლებები არ წააგლიჯოს. თავის კლუბში მოღვაწეობა სოციალისტმა ჯერ-ჯერობით მითი დააბოლოვა, რომ მოსამსახურეები კლუბის ზედა სართულიდან ქვედა სართულის ერთ ერთ ნესტიან ოთახში ჩაყარა. ეხლა ხან, როგორც თქვენც უნდა იცოდეთ, საშა ძლიერ გლახა გუნებაზეა (სიეზდმა მას ჯამაგირი შეუმცირა, ბევრი მისი პროტექციით მიღებული პომოშნიცეები დაითხოკა და სხვ.), ასე რომ შემდეგიზა კიდევ უნდა მოველოდეთ მისგან ამ გვარ „სოციალისტურ“ მოქმედებას.

ჩემდა სამწუხაროთ წინა ნომერში კიკაბიძესა და ზვიადაძესთან ერთათ ვორონცოვის ქუჩის მფარველ ანგელოზებთა შორის ვერ მოვიხსენიე ბ. ბარათაშვილი. უკანასკნელი—ძლიერ გამწყრალია თურმე იმედია ამ პატარა შეცდომას მოგვიტევებს.

რაც მოგივა დავითთო, ყველა შენი თავითთო. ამას წინათ ჭავჭიანიძის, კასუმოვის და გვარჯილაძის სავაჭრო სახლს ნოქარი დაჭივრებია და ნოქართა პროფესიონალურ კავშირს კიდეც წაუყენებია თავიანთი კანდიდატი. დიდი წვალების შემდეგ, როგორც იქნა, მიიღეს პასუხი კავშირისტებმა, რომ ვაჭრების საზოგადოებას დაუდგენიათ ნოქარო- კავშირის კანდიდატს არას გზით ადგილი არ მიეცეს და ჩვენც ამ დადგენილებას ვემორჩილებითო. „ჩვენ ჩვენი კანდიდატი გვყავსო“ განაცხადეს აღებმა და აქვე დაასახელეს მისი გვარი. კავშირისტებმა გააფთხილეს კასუმოვი და კომპ., რომ ეგ კაცი საიმედო არ არისო. „ჩვენ ვიცით და იმანო“ მიიღეს პასუხათ ნოქრებმა. დახეთ უბედურებას! კავშირისტების სიტყვა მალე ასრულდა. ამას წინათ იმ ნოქარმა გააცალიერა დისიპლინის მქონე ვაჭართა მაღაზია.

რევიზორი—ეშმაკი.

მ ა მ ა კ ა ც ი

რატომ შექმნა ღმერთმა ადამი თიხისგანა?

(მიბაძვა გვაზავასი. ნიშადური № 42).

საყდარშია ერთი წიგნი,
ეძახიან „დაბადებას“:
რა „მიდარში“? ეს მეტს იპყრობს
საგანგებო სწავლას, მცნებას.
იქ სწერია, რომ უფალმა
ადამ შექმნა თიხისგანა
და არა სხვა მასალისგან:
არც ქვისა და არც ხისგანა.
მაგრამ აბა ვინ დაასკვნის
ამ აზრიდან ამგვარ მცნებას,
რომ მამაკაცს უეჭველათ
თავი ქოთნის უნდა ებას?
შეიძლება ზოგზოგიერთს
თავი მართლაც ქოთნის ჰქონდეს
და ფლავ-ჩლავი იქ ნახარში
ქვეყნის საზრდოთ გამოჰქონდეს.
მაგრამ ღმერთს ვთხოვთ, რომ კაცთ შორის
ეგ მოვლენა არ გახშირდეს
და ნაფხეკი ზოგი თავის
მწერლობაშიც დაგვიძვირდეს!

ნ. ზომლეთელი.

ღლიურიდან.

ჭეკა-გრიალმა მოიცვა არე,
ბოლოს საზარი გაისმა კვნესა,
და ვალმოხდილთა განსასვენ ალაგს
ისიც ჩაეკრა—იქ არის დღესა!
იმის წმინდა შუბლს მეგობრის ხელით
არ მოსწმენდია ოფლი სიმწარის,
მხოლოდღა ჯალათს უკანასკნელი
შერჩა შეხედვა მის გვერდზე მკვდარის!
შეხედვა, მაგრამ ის საამაყო:
ბრჭყალი მტრის გულში რომ შერჩენოდა,
და სახეს მისას ნუგეშის სხივათ
ეს შეჰკდომოდა, ზედ დასჩენოდა!
მწარეა! ყოფნის შეუწყდა ძაფი
ფრია შეეკვეცა მისსა გულის თქმას,
ის აღარ არის, უკვე მკვდარია,
მაგრამ ამაყად, და ნეტავი მას!...

რ. ლეჩხუმელი.

მოღვაწის დაკარგვა.

მოგეხსენება, რომ ადრე წარსულში, მისმა ყოვლად შეჩვენებულებამ ჯოჯოხეთის მბრძანებელმა—ტარტაროზმა მოიღო ჩემზე თავისი მოწყალება და მცირე ეშმაკათ ქცევის შეძლება მომცა. ნაბოძვარი ერთობ დიდია, მარა ხატის ღვინო კარგი დასალევია და ძნელი შესარგებიო, ჩვენში რომ იტყვიან, სწორეთ ისე მომივიდა: მივ-ღე ეს თილისმიანობა, მარა დიდი საპასუხისმგებლო რამ მონდობილება ყოფილა განქექილებ.ს როლის კისრად ღება, რაიცა ამ გვარ ჯილდოს მოსდევს. ინსპექტორ მაჰავ.რიანსაც გაუჭირდება მასწავლებლებთა მიმართ იმდენი აკრძალვებისა და ინსტრუქციების წერა, რამდენიც ჯოჯოხეთიდან ერთი მეორეზე კუდიანი ქაღალდები მომადევნეს. განა ასეა, —ყოველი მცირე მოსამსახურე მეტ ჯაფაშია, ვიდრე უმაღლეს საფეხურზე წამოსკუპებული, რომელიმე ჩინოვნიკისებური მოხელე სწორეთ ამგვარების თავიდან ასაცილებლათ გავექეცი ერისგანობას, სული მთელი თავისი სიმძიმით მიტომ ჩავაბარე ეშმაკს, მაგრამ საეშმაკეთში წვიტ-წვიტი მოხელეების გაწამაწია მეტის მეტი, თურმე, ყოფილა. რაღა გზა დამრჩენია, რაკი ერთხელ ზურგი ვაქციე ძველ ადათ.ს, ახლა ათასი დეკანოზის და ბერ მონაზონის ლოცვა-ვედრება და მწარ-საცხებელიც ვეღარ მომაბრუნებს. ისევ ერთხელ აღებული ტვირთი უნდა ვზიდო და ათას ნაირ მაღალ ყოვლად შეჩვენებულების, ყოვლად დაწყევლილების, და გარეწარების*) მოწერილობები, კრინტ დაუძვრელად უნდა ვასრულო. ერთი ამგვარი ბრძანების აღსრულება ამ დღეებში შემხვდა: აღვიჭურვე მათრახით ხელში, ბოთლით კუდინი გადავიიღლიამხრე და ერთ საღამოს ჰაერში შევტრიალ-შემოვტრიალდი და ბათუმის მიდამოს ზეგარდმოვხედე. გამოვძეხი წმინდა ჰაერით და ნელის ფრენით, კუდ გაბზიკინებული, ბათუმის ლომბარდზე დავეშვი, უჩინრად შევძვერი შიგ და სტოლზე დავსკუპდი. აქ ქალაქის რამდენიმე მესვეურთა მოეყარათ თავი და ლომბარდის უგზოუკვლოდ გადაკარგულ გამგეზე გაებათ ბაასი,—ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას. ერთი ამათგანი იმის მოქმედებას გასამართლებელ სარჩულში ხვევდა: არც ისე დიდი ფული წაუღია ლომბარდიდან რომ ის ავათ ხსენების ღირსი იყოსო, სთქვა მან. რვაასი მანათი მაშინაც კი ერგებოდა საჩუქრათ, თუ რომ ოტსტავკით წასულიყოო. და თუ კერძოთ ვისიმე ვალი გაიყოლია, ეს რა ჩვენი საქმეა, ამაში იმისი გაკიცხვა ჩვენს უფლებას არ შეადგენსო; დეე ვისაც რაიმე კერძოთ დააკლო პირადათ მან მოსთხოვოსო, დაამთავრა მან. ქართველური თბილი ადგილი ამბა რის თბილი ადგილია, თუ ცოტა გადანამეტი ფულის წაღება არ შეიძლებაო, დაუმატა მეორემ. ქანქარი კარგია, მარა ბოლოს ქაქანი იცისო, წაუკლაპუნა ერთმა პირათმოქმელმა. ერთმაც დაიწყო: ბ-ბო! ყველაფერი გვეუბნება, რომ გამგე ლომბარდისა გადაკარგულია, თუ გნებავს—გაპარულია, ერთი სიტყვით ორივე შემთხვევაში ის თავის ადგილას აღარ არის. იმისი არ ყოფნა და არც ყოფნა არც გვაკლებს რამეს და არც გვიმატებს მარა, მაგარი ის არის რომ ქართველებს ერთი კაცი მოაკლდა, რიცხვი ქართველებისა, ამ ჟამათ, ერთით ნაკლებია, ვიდრე იმის აქ ყოფნის დროს იყო. სამწუხარო აი ეს არის. ასე დაასაბუთა მან გადაკარგულის ბათუმში არ ყოფნა, დამამტკიცებელ საბუთად გაქცეულ-განსვენებულ-გაპარულ-გადაკარგულის ხელთ ნაწერი გამოიხოვების ბარათი მოიყვანა, რომელიც იმის სტოლის უჯრაში აღმოჩნდა დაცული. მიემხრო უმეტესობა იმის აზრს და ერთ ხმათ აღიარეს, რომ გამგის ბათუმიდან წასვლა იმის ბათუმში არ ყოფნას ნიშნავს. ერთმა მეტყველთაგანმა განსვენებულ-გაბნეულის წარსული მოღვაწეობა დახატა,—იმან სთქვა: მარ.ლა ის ამ ჟამათ საქვეყნო საქმეში, თვინიერ ყომარბაზთა საზოგადოების მუდმივი წევრობისა, მონაწილეობას არ იღებდა, მარა წარსულში იმას დიდი ღვაწლი მიუძღვის საქვეყნო საქმეშიო. ჟამსა მას ვოლსკობიობისასა, ის ბათუმის ოლქში გავლენიან პირად ითვლებოდა და მაჰმადიანთ შორის საოლსკო კენჭებს, თუ ხათრით, თუ შიშით, ბლომათ აგროვებდაო. ასე დაასუროთხატა მან გარდახვეწილის წარსული მოღვაწეობა.

აქ კუდინის ბოთლს უკაბედათ თავზე მომიძვრა, და რა ამ სამკურნალო წამლის სუნი იგრძნეს, მოსაუბრეთ მყის შესწყვიტეს რეჩნი თვისნი და მოკურცხლეს მუნით, ხოლო წამლისა ამის წვეთები არ უგემებიათ. განიწმინდა ოთახი იგი და უჩინრადვე უკუ ვიქეცი. ხოლო თბილისელ ამხანაგს ფიცხლავ წერილი ვუფრინე, რათა შეეკითხოს ვოლსკის, თუ რამდენათ მართალია ლომბარდის გარდახვეწილის გამგის მოღვაწეობა საქართველოს საკეთილდღეოთ? ველი პასუხს ადრე.

ბლიკვაძე.

მასალები ქართული ისტორიისათვის.

(მასალა მეორე)

მასალა ესე, სამწუხაროთ მეისტორიისა, ვერ ვიპოვე მთელად. ვნახე მხოლოთ ნაწვეტ-ნაწვეტები, მარა მეისტორიისათვის ხომ ნაწვეტებსაც აქვს მნიშვნელობა. გამჭრიახ მეისტორიეს შეუძლია ამ ნაწვეტებიდან ერთი მთელი ისტორიული ფაქტი ადგგინოს. ეს ნაწვეტები ვიპოვე ორ დაწესებულების არქივში: მადალ პირის კანცელარიისა და ერთ-ერთ ქართულ რედაქციის. აი, ეს ნაწვეტები:

—

ნაწყვეტები, ნაპოვნი კანცელარიაში.

...ბულებავ! ერთი ქართული გაზეთის რედაქტორს, რომელსაც თქვენ ორი თვით ციხეში ჯდომა მიუსაჯეთ, სწადია პირადათ თქვენთან მოლაპარაკება. ჩვენ შევცდით: ის მეტად სიამედო კაცი ეოფილა და მასთან ფრიად საჭირო ჩვენთვის. თვით ნახეთ და დარწმუნდებით ამ სიტყვების სიმართლეში. ნამდვილი მოსისხარი მტერი ეო-

---

*) ჯოჯოხეთში ქვეყნიური ხარისხოვნების ნაცვლად ამგვარი ტიტულოვანება არის.

ფილა რევოლიუციისა, მტერი მარტო სიტყვით კი არა, საქმით, ნამდვილი საქმით.

მომხსენებელი (ვერ გავარჩიე)

ამ მოხსენებას შემდეგი რეზოლიუცია ახლავს:

„ხვალ, 11 საათზე, წარმოადგინეთ ის რედაქტორი. იქნებ მართალი საჭირო კაცია. ვნახოთ“.

—

....დატყვევებულ იქნას ორი თვით.

(ვერ გავარჩიე თუ ვინ აწერს ხელს)

ამ გადაწყვეტილების ქვემოთ იმავე ხელით მიწერილია განზე:

„მართლა რომ ეს კაცი ფრიად საჭირო კაცი ყოფილა. ბლდვირი აუდენია რევოლიუციონერებისათვის დასამტკიცებლათ ამისა თავის ჟურნალის რამდენიმე ნომერი წარმოიდგინა. წერილები, კარიკატურები იმ ჟურნალისა მართლაც რომ რევოლიუციის წინააღმდეგ არის მიმართული.—Мы съ ними на ножахъ-ო, მითხრა და მართალიც არის. აწიც სულ на ножахъ ვიქნებით. მე მეტად საიმედო კაცი ვარო. საიმედო კი არა, მეტიც ყოფილა ოჯახ-აშენებული... ისეთი წერილების მოთავსებისათვის, რასაც ის ბეჭდავს თავის ჟურნალში, მთავრობა სუბსიდიებს იძლევა. შენი წერილებისათვის სუბსიდიათ მიიღე პატიება მეთქი, ვუთხარი. გაუხარდა და ოქვა: ვეცდები კმაყოფილი იყოთ ჩემით. ხელი მოუმართოს ღმერთმა მის მოღვაწეობაში“.

ვერც აქ გავარჩიე, თუ ვინ აწერს ხელს, ხოლო ხელის მოწერა რომ იგივე პირია, ვისაც რედაქტორისათვის ციხეში ჯდომა გადაუწყვეტ‿ია და მერე სასახელო მოღვაწეობისათვის უპატიებია, ეს ცხადია.

რედაქციაში ნახული მასალა.

კაცო! მე მაპატიეს. Мы съ ними на ножахъ-მეთქი. ვუთხარი. საჭიროა იმგვარივე წერილების ბეჭდვა. წერა და წერა... ვბეჭდოთ და ვბეჭდოთ. აწი რადა გვიჭირს.

შენი (ვერც აქ გავარჩიე).

გლეხის ღიღინი.

(ურმული)

3.

ჭარალე ჭარი ჭარალე ვარალე ჭოროველაო
შენ ერთად-ერთო ნუგეშო ჩემო ნიშანავ ჭრელაო
ჩაგვიქრეს ბედის ვარსკვლავი წყვდიადი გვეფინებაო.
შესწყდა ყიჟინა ბრძოლისა სიცოცხლე გვეყინებაო
ირგვლივ გაისმის ბნელ-ძალის სიბნელის ქებათ-ქებაო,
სხვადასხვა ჯურის მევლეფელი მას შიგან იჩეკებაო.
თავს ყორანთ გუნდი დაგვჩხავის აი თავისუფლებაო—
ბრჭყალებს გვიყრიან და თანაც შიმშილით სული გვხდებაო;
რას იზამ ძმაო, რას იზამ გულს ცეცხლი გვეკიდებაო,
ნეტავ „იგი“ დრო ნეტარი როდის-და გვეღირსებაო...
ვარალე ბიჭებს, ვალალო შუბლ და წარბ შეჭმუხვნილებსო
იმედს არ ჰკარგვენ, იციან ბრძოლა კვლავ დაიგრგვინებსო,
ვერ გაგვტეხს ვერა ვაყკაცნო მონობა მიწის შვილებსო,
რაგინდ სასტიკათ მოგვეპყრან ულელქვეშ თავწახრილებსო
ნუ შეგვაშინებს გენაცვათ ქარ ცეცხლში გამოზრდილებსო,
ტანჯვის შვილნი ვართ და იგი ვერ დაგვძლევს თავის
შვილებსო
შრომა გვაკაჟებს სახსნელად შრომისვე მოციქულებსო
დადგება ჟამი ნეტარი კვლავ გლეწდეთ ჩვენს ბორკილებსო.

4.

ვალალე ჭარი ჭარალე ვალალე ჭოროველაო,
ჭირიმე შენი, ჭირიმე გამიწყი ხარო ჭრელაო,
ჯაშუშთა ჯოგი გამრავლდა მათგან მებრძოლთა ჭერაო,
გახშირდა ძარცვა, კაცის კვლა, ჭქრის წიწილებზე ძერაო.
ემ „ხეობელმა“ ყოველი ეს-დეკებს მოგვაწერაო,
ბრძანებს: ახალმა თაობამ სოფელი გადიმტერაო,
მიხელეებთან ვიდოდა ვით მელა გაიძვერაო —
მტრისგან ნათქვამი სიცრუე „კნიშკაში“ ჩაიწერაო,
შემდეგ ადგა და გაზეთში გამოაცხადა ყველაო.
ჯერ იყო რეაქციამ დაგვაქცივ-დაგვანელაო
და ახლა „მოღვაწეებმა“ დაგვიწყეს ფეხ-ქვეშ თელაო,
ხმა კმინდეთ ვაჟბატონებო გიცნობთ ვინცა ხართ ყველაო,
თქვენგან აროდეს გვიხილავ გვერდში მოდგომა შველაო,
თქვენი ბინაა ხვრელები შიგ ძრომა როგორც მელაო,
ბრძოლისა შემდეგ ყიყანი დამარცხებულთა წყევლაო
ნუ თუ არ გეყოფნის მრავალი ათკეცი გასაჭირიო
რომ თქვენც ჭორ-შურის გებითა არ დაგვრთოთ ჭირზე
ჭირიო...
მაგრამ ეჰ, იუაუნევით ვერ მოგვატყუებთ ვერაო
ჩვენ ყველას ვიცნობთ. ვინც არის ფლიდი და გაიძვერაო,
იფლიდეთ როგორც გნებოთ გამართეთ ჭირზე ლხენაო
მტრებისა დახმარებისთვის აამეტყველე ენაო.

5.

ჭარალე ჭარი ჭარალე ვალალო ჭოროველაო
აწ შენ მოგმართავთ „ეშმაკჯან“ შენგან გვჭირია შველაო
დაჭქროლე შენის მათრახით მტრებს ასვი შხამნადველაო.
შენი ჭირიმე, ძმობილო, სუყველგან შეიჭერიო
დაჭკარ ვინც გვძარცვავს, გვატყავებს, ზურგზე ადინე
ბადღვერიო.
თავად-აზნაურთ „კუდინი“ აულუნწე ხელდა-ხელაო
სოფლის წურბელა მტანჯველებს შეჭყარე ქუშის ხველაო
ვალალე შენი ჭირიმე ძმიავ ჭოროველაო,
თავს შემოგვევლონ „მფარველი“ ანგელოზები ყველაო.
შენკი გასწიე, ნუ ხვნეში ჭირიმე ხარო ჭრელაო.

გ. ქუჩიშვილი.



კამეჩი წევს და იცოხნის
თავის ამინდი ჰგონია,
ლაფში ჩაფლული ურემი
შინ მიტანილი ჰგონია.

გამოცანები.

(ჭიათურელებისა და ქუთათურელებისათვის).

ცხრაას ოთხ წელსა წევრათ ვიყავი
ჭიათურის ქვის მრეწველთ საბჭოში,
გავლენა მქონდა, ყველა მისმენდა
მეუფე გახლდით ჩემსა სამეფოში.
რო შევძახებდი ამ მორჩილებს,
მყისვე წინ მედგენ გაშტერებულნი
და რას ვეტყოდი, რას უბრძანებდი
ისმენდენ შიშით მოკრძალებულნი.
ასე ამ რიგათ მე ვბრძანებლობდი,
სანამ ერთობა შემოვიდოდა —
რას ვიფიქრებდი, თუ მე მეფობა
უცებ ხელიდან წამივიდოდა.
სანამ კი ვიყავ ხელს არ ვაკლებდი,
ბლომათ მასიქენ მრეწველთა ფული,
ვტენე და ვტენე ჩემი „უძირო“
ვერ შევიჯერე თუმცადა გული.
მსახურებს ერთი მაგრათ ვწურავდი,
ვინც მე მინდოდა მას დავითხოვდი,
ხოლო მის ადგილს ვისაც მივცემდი,
პატარა ქანქარს მე მოვითხოვდი.
“გაჭირვებულ კაცს“ ლუკმას ვაძლევდი,
ამით, მე ვფიქრობ, ვშვრებოდი კარგს;
ზოგს თუ ვითხოვდი, იმიტომ რომა
არ ეკუთვნოდა იგი ჩვენ დარგს.
ვმეფობდი ასე, სანამ დაგვიდგა
ის უკუღმართი მეხუთე წელი,
აჯანყდა ყველა ჩემს წინაშე,
წარმომიდგინეს პროტესტი გრძელი.
ყური არ ვუგდე მე არვის ჩხავილს,
დავიდგი ყუთი და თუმც გავშავდი,
მაგრამ ვიცოდი დრო შეიცვლოდა—
მათ ჩემ კლანჭებში კვლავაც ვნახავდი.
ღმერთმაც მისმინა, დრო შეტრიალდა,
კვლავ ჩავეწერე მრეწველთ სიაში...
მსახურთა შტატის შესამოკლებლათ
ამომირჩიეს კომისიაში.
მეც ჩემებურათ და ძველებურათ
ხაზი გაუსვი მსახურთა სიას,
რა საჭიროა მუქთა ხორები,
მოვახსენევი მე კომისიას.
შევამოკლევი თითქმის ნახევრათ
ულუკმაპუროთ გავყარე გარეთ
და ვინც დავტოვე, არ გავახარე,
ვატირ-ვაცრემლე ყველანი მწარეთ.
ზოგს ოცდა ათი, ზოგსაც ორმოცი.
ჯამაგირიდან ვუკელ პროცენტი,
სისხლი ავიღე, ვიგდე კლანჭებში,
ვინც მე ცხრას ხუთსა მიძღვნა პროტესტი.
ერთხმათ მიიღეს ჩემი პროექტი
ლეონტიმ წუნარმა, ვით იაღონმა,

მრეწველთა კრებამ, თვით კომისიამ,
ნიკიფორემ და იაგორმა.
სალამი მიძღვნეს! გამხიარულდენ
და აღტაცებით დაჰკრეს ნაღარა,
დიდ ხაზეინმა, სოლომონ ბრძენმა,
მეტ სიხარულით ცრემლი დაღვარა,

ზარბაზანი.

2.

(ლანჩხუთისათვის)

ტანათ მაღალი,
ვითომ ნასწავლი,
მჭედლის ვექილი,
ცრუ გაქექილი.
სიტყვით ესფერი,
საქმით აფერი,
სხვისი მლანძღველი,
თვით საძაგელი.
უქმ მოყიალე,
ვინც ახსნათ მალე
თუ გსურს პრემია
შემომითვალე.

შხანკოლა.



ქუთაისის რეალურ სასწავლებლის
ჩაკეტილ კარებთან ეგზამენების დროს.

ა დ ა მ ი ა ნ ი.

უცხო ფიქრები:

რა წამს იხილავს გალესილ რკინას
შიში და კრთოლვა სისხლს აუღელვებს,
სიკვდილის იჭვი იქ ჰპოვებს ბინას
და მის არსებას მსწრაფლ გაუელვებს.
აზრს გაუქარწყლებს, გრძნობას აამღვრევს
გააქანდაკებს ვით მეხ-დაკრულსა,
გულში აუშლის უიმედობას
თვალწინ უაზრო შიშის უფსკრულსა.
ძვალები სტეხენ ძარღვები თრთიან
კუჭი ძიგძიგებს გუგუნებს შიან,
ყველა ასონი ცივ ოფლსა ღვრიან,
ყველა ერთმანეთს ეხეთქებიან,
სურვილი ნება ერთურთ ებრძვიან
იძაგრებიან იბნიდებიან
უაზროებას შიშს განიცდიან
და არ იციან თუ რა სწადიან.

***

საბრალო მაშინ ადამიანსა
არ აქვს სურვილი არა აქვს ნება,
ამ დროს ლოდსაც-კი გვერდ ხავსიანსა
მის თავზე მწარეთ გაეცინება,
ამ წუთას მისთვის მკვდარია აზრი
ჰლალატობს რწმენა, ჰლალატობს ძალა,
გამჰქრალა მისთვის სიცოცხლის საზრი
უსულგულოა ვითარცა ჩალა.
საშინელია უტყვი უაზრო,
უსულო ლეში მტვერთა არარა,
სიცარიელე უძირ-უსაზღვრო
იჭვიანობის მონა-მასხარა.

***

სულ სხვა გვარია ფხიზელი კაცი
გონიერების, აზრის მწვერვალი,
თვით არსებობის იცის მან ფასი
და მის გონებას გაუჭრის თვალი.
მას არ აეჭვებს სიკვდილის ვნება
არ იცის კვნესა, არ იცის ვიში,
გრძნობა-გონებას ემორჩილება
მის ძლიერ ნებას ვერ ჩაჰკლავს შიში.
ძლიერი სული მთელ მის არსებას
სიცოცხლის მგზნებას ცეცხლათ ედება
არ შაეწირვის უცნობ განგებას
მისი ცოცხალი შემოქმედება.

***

ორივეს ჰქვიან ადამიანი
მაგრამ არ არის ერთგვარი მცნება,
ერთი არ ცოცხლობს და ვერც იცოცხლებს
მეორე სცოცხლობს და არცა კვდება.

ვ. ტუქსიშვილი.

მესტვირული.

(ბათუმისათვის)

ქამანჩა მივიწყებული
ამ რამდენიმე დღისაო.
კიდევ ავიღე, გავბერე
ეგ გუდა ვაცი თხისაო.
სტვირი ფირუზით შემკული,
გათლილი ალვის ხისაო,
დდეს კიდევ ავადუდუნე,
ნაზი ხმით იძახისაო.
ვინც იბერება ტიკივით,
ჩუმ ჩუმათ ძირს გვითხრისაო,
დაჩვეულია საქმეში
გალუნვა-გადახრისაო.
მადლიჯ იმის ზურგზედა
ცხუნება მათრახისაო,
რომ ღირსეულათ მოიკოს
რაც შეჰფერს, დიახ, ისაო.
გავირკვე წელში მათრახი
ეშმაკის ნაბოძვარიო,—
(ბევრია მყავს იმის მუშტარი
არ ეთქმის არც ერთს ვარიო).
ბოთლით კუდინი შევიბი,—
წამალი უებარიო,
დროზედა მისაწოდები,
გირვანქა ნახევარიო.
საურთიერთო ნდობისა
კრების ვიხილე კარიო,
სად მავროპულო ფშუკავდა,
დაესვათ სეკრეტარიო.
ჩაკეტილ კარებს მივადექ
მუნ შესვლის მათხოვარიო
და როცა მკითხეს—გაიგეს,
„ბლიკვაძე“ ჩემი გვარიო.
შეველ და მოვიკალათე,
მე ველარ მითხრეს ვარიო,
(ერთი კინაღამ გასცვითეს
კარებში ნაცემარიო).
სრულიად შემომივლია
ქალაქი, მთა და ბარიო
და არ მინახავს ამ კრების
მე რამე შესადარიო.
(ასეა, განა, სად ფული
გამხდარა სადევარიო,
იმდენს მოგარტყმენ ფერდებში,
რომ გეყოს ნახევარიო).
კვიცინსკი გვემუქრებოდა,—
საალყე აწ ჟამიაო
(თავმჯდომარობდა ამ კრებას
და მისი ლაგამიაო)
გინკულოვს რაღა უნდოდა!?
სთქვეს, რომ ეს აჯამიაო,
ბერძენი გეგონებოდა
ჯინჭველა ნაჭამიაო.
და მეამბორე ხალამპრე—
ეგ ჩვენი ძაძამიაო
ქომაგებს ეუბნებოდა:
„დამაგრდით აქ ძამიაო!“
კახაანს გვერდს უმშვენებდენ
ძმა ბიჭნი თანასწორია,
(კენჭი ხიკაო ბერძნისთვის
ამბობენ, მარა ჭორია)
მავროპულოვი ყვიროდა:
რაა ეს და როგორია!
მაშ ტყვილა გადამიგდია
ასიანები ორია.
სულს გეფიცები ვივარგებ,
მე, როგორც დირექტორია
და ამირჩიეთ, აქა ვარ,
„დეფექტ-ეფექტი“ შორია.
ერთმა-კი კრებას ძიმართა:
თუ რომ გწამს თქვენ გამჩენიო,
ძველ გამგეს შევემუდაროთ,
ეგებ ისმინოს ჩვენიო.

რადგან არა გვყავს სამისო
ჩვენ კაცი ანაჩენიო,
მან მოგვიცადოს კიდევ და,
მო, დავსდვათ განაჩენიო.
და ჩოქვით შევემუდაროთ,
რას დგეხართ დანარჩენიო!!!
რომ მეტანიი, მუხლებზე,
ვტკიოდეს დანაჩენიო.
ვიძრე წელიდან მათრახი,
ვით ამ დროს შესაფერია,
ზოგმა მოკურცხლა, გაიქცა
ზოგსაც ეცვალა ფერია,
ვისაც უწია, იგემა
მათრახის მწვავე წვერია,
თავმოგლეჯილი ყვიროდა:
„მწარეა ეგ ოხერია!“
კუდინი სტოლზე შემოვდგი
ზედ წვრილათ დანაწერია:
„ვინაც იგემოს იგლიჯოს
ულვაში, თმა და წვერია“.

ბლიკვაძე.

ქ. ფოთი. ვაჭარი ანდრი ლოლუა მეტათ დახელოვნდა ლანძღვა-გინებაში. თუ ვინმეს ღმერთი გაუწყრა, მის მაღაზიაში შევიდა და საქონლის ფასზე ვერ მოურიგდა ვაი მისი ბრალი ანდრის ლანძღვა გინებას არა აქვს დასასრული. ანდრის კიდევ არაფერი უშავს სეილან ებრალიძე გადაგვერია თორემ. დღე და ღამე, თითქო დაკრებული იყოს, ზის კაპარჭინას პირზე. საბრალოს თურმე გონია იქ მოტანილი ხეები ყველა მის მამულშია მოჭრილი და სუნავს. ორივეს შემათრახება უთუოთ საჭიროა, ერთმა ლანძღვა-გინებას დაანებოს თავი და მეორემ კაპარჭინას თორემ პირველს მუშტრები სულ შემოეცლება და მეორეს დახაშმავს და ციებას დააწყებინებს. იქნება იმის იმედი ქონდეს ქალაქის მამები მიწამლებენო. ქალაქის მამებს მისთვის კი არა ეპიდედემიის წინააღმდეგ არ მიუღიათ არავითარი ზომები. ამ ორი ვაჟბატონის არა ნაკლებ გამათრახების ღირსია პანასის წარმომადგენელი პავოლი და მისი მარჯვენა ხელი გრიშა სარჯველაძე. ორივე საშინლათ გაიმასქდეს და ენის ქავილი დაემართათ. დასასრულ სამოქალაქო სკოლის ინსპექტორ მიტროფანოვს აუცილებლათ დასჭირდება რამდენიმე წვეთი კუდინი, რომ ნერვები დაუშოშინდეს და ცენზორათ აღარ წარმოადგინოს თავი, როცა ნება დართულ პიესებს სდგამენ აქ.

ვოლდემარ.

—

ბორჯომიდან.

ეშმაკო ჯან, ახალ ამბავს,
მე უბრალო მომაკვდავი,
გაუწყებ და ყურად იღე...
თუ არ მოგაბეზრე თავი.

ყველა ფლიდი, გაიძვერა,
ლოთი-ფოთი, მაწანწალა
აქ...ამ ბორჯომს შეხიზნია...
(ამის შესწევთ მხოლოდ ძალა).

მარჯვნივ პარკში შეიარე:
მუშებს ნახავ დეპოელებს...
ოთხ პიროვნათ, ერთ სულოვნათ
რამდენს მოსცხებ—მოინელებს.

ქეიფობენ, ნავარდობენ,
ტანთ აცვიათ ასნაირი;
უყვართ ხელში ვარდის პყრობა,
არშიყობა და შაირი.

მუშათ საქმე მხოლოდ შუბლზე
აკერიათ, ვით რეკლამა...

მათმა უშნო ნავარდობამ,
ბევრს გვერდები დაუამა...
ჰკა, მაგათა! . მიაყოლე,
ზურგის კანი დაუფლითე;
მთელი პარკი დაიარე,
მათრახი მათ დააცვითე.

სესიკა.

—

ხონი. წარმოვიდგინოთ, ძმაო ეშმაკო, ერთ მშვენიერ დღეს გვესტუმრეთ ხონში. ვთქვათ ჩამოსვლისათანავე გზაში შეგხვდათ ვაჭარი ი. ბახტაძე. ეკითხებით—რატომ არ ხურავ დროზე მაღაზიას? ის ბესოზე გითითებსთ, ბესოს ეკითხებით, ის რუხაძეზე გითითებსთ, რუხაძე ჭურაძეზე, ჭურაძე ძაძამიაზე, ის კიდევ სხვაზე და ასე. როგორც ხედავ ყველანი ერთი მეორეს აბრალებენ და საერთოთ კი ყველა როცა უნდათ მაშინ კეტავენ მაღაზიებს და სავალდებულო დადგენილება კი ფეხზე კიდიათ. ეჭვი არ არის მათრახით გალაპარაკება დიდ სარგებლობას მოუტანს გაიმასქნილებულ ხონელ ვაჭრებს.

№ 10.

—

ს. ნახუნოვი (სამეგრელო) ჩვენებურ ორ წვერ-ცამეტას ქანქარი შემოაკლდათ და ურიასავით ძველ დავთარს დაუწყეს ქექა. თუ კი სიმშილობამ შეაწუხა ხალხი ჩვენ რაღა იმაზე ნაკლები ვართო, მიესიენ და ახდევინებენ ყველას გასული წლების დრამის ფულს თუ ხუცების გამათრახება სარწმუნოებრივ დანაშაულობათ არ ჩაგვეთვლება აუცილებლათ უნდა ვუცხუნოთ მაგათ.

შენი ალიკო.

—

ს. ჭოლა. (სამეგრელო)

ძვირფასო ძმაო ეშმაკო!
აღარ გჯერა აქ რა ხდება?
ნუ თუ ფიქრობ, მე გატყუებ?!
აბა როგორ გეკადრება.

არა ვსტყუი, შენმა მზემა,
ღმერთით, რჯულით დაგიფიცებ:
რასაც ვიტყვი ვინმე სხვაზე,
ასი ფაქტით დაგიმტკიცებ.

დათა კოჭლის მეოხებით
იღუპება ჭოლის შკოლა.
„იმასქნობით, ამასქნობით“
გლეხ-კაცობა დააბრკოლა...

იქ ანდრიაც მოსე მწერლობს,
ქანქრით ჯიბე გაიტენა,
ქანქრიანებს ყველას წყალობს,
უქანქროებს უწყო კბენა...

რომ ჭოლაში ჩამოხვიდე,
არ იკითხო: რისთვის, რაზე,
რადგან მათი „ვაჟკაცობა“
განთქმულია ქვეყანაზე,

ორი კუდი მწერალს არტყი,
სამი დათას უთავაზე.
მამასახლისს ოთხი უნდა,
რადგან კოჭლობს უფრო სხვაზე.

გამომძიებელი ეშმაკი.

—

ახუთი.—იმ დროს, როდესაც მთელი ქვეყანა კულტურული მუშაობით გატაცებულია ჩვენებური ახალგაზდა ინტელიგენტები სამღებროს დუქნებთან ღვინით და არყით იბერებიან. სამკითხველოს და სხვა ამგვარ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებს ისე გაურბიან, როგორც თათარი ლორის ხორცს. რადგან სითხეს უფრო ეტანებიან სპერმაკუდინს ადვილათ გადაკრავენ და გამოგზავნეთ ბლომათ.

გ. ეშმაკი.

—

ვანი. (ქუთ. მაზრა) სინო და მისი მეორე ტომი ძალიან „გაიმასქნდენ“. მართალია უნივერსიტეტში არ ყოფილან, მარა ადგილობრივ ადმინისტრაციიდან მაინც მიიღეს ვექილობის მოწმობა. ყველგან დაძვრებიან. სინოს გარდა ჩვენ კურთხეულ სოფელს სხვაც ბევრი მოღვაწე ახალგაზდობა ყავს. მხოლოდ მათი მოღვაწეობა ლოთობაში და გ. ს—რაძესთან კარტის თამაშში გამოიხატება. მათრახი და სპერმაკუდინი თუ საჭიროა თვითონ მიხვდებით.

გადაჟი.

—

საბუნჩა. ნეტაკ ვიცოდე, ეშმაკო,
სადა ხარ ჩემო ძაშია,
საბუნჩის გმირებს ესტუმრე
თუ დრო გაქვს ერთი წამია,
ჩვენ ვიცით შენი მათრახის
წყვიდინი ყველგან ხშირია,
იცოდე პლატონ წილყვავაც
ჩვენი მამულის შვილია.
შავ-რაზმის მეთაურობა
უმშვენებს ვაჟკაცობასა,
თაყვანს სცემს კერძო ინტერესს,
შურს, მტრობას ავკაცობასა,
უყვარს ფეხთ კბენა, ლალატი
ფლიდობა მელიაობა,
აწ შენ გაშინჯე—იქნება
ამაზედ მეტი ავობა?
აქ ჩამოსვლაზე ნუ ზანტობ
რაც რომ გაგიტყდეს ძილია
თითონ გაეცან ვაჟ-ბატონს
რომ არ დამწამო ცილია.
მოსვლის თანავე აუწვი
მათრახის კუდით ძვალები,
სპერმაკუდინიც მიართვი
მის წვეთებს ვენაცვალები.
როს გაჭკურნება შეატყო
ღაღად ჰყავ: გახდი კაცითქვა,
შენ არ იყავი ბოროტო
ქრისტე რომ ჯვარზე აცვითქვა?
აწ იმედი მაქვს რომ ნახავთ
საბუნჩის ასეთ გმირებსა
თითო კი ყველას გადაჭკარ
თუ დრო არ გაგიძვირდესა.

„ბრატიშკა“.

თფილისი.—რაკი ჩვენ ქ.ლაქის მამებზე აღარც მათრახი და აღარც კუდინი აღარ მოქმედობს, ნახალოვკის მცხოვრებნი, გეხოვთ, ძმაო ეშმაკო, ერთ დღეს მიდი ქალაქის გამგეობაში დაირეკე წინ „მამები“ და გამოიყვანე ნახალოვკაში. იქ რუსთაველის ქუჩის კუთხესთან რამდენჯერმე აახტუნ-ჩამოახტუნე რომ დარწმუნდენ შეიძლება თუ არა ასეთ ქუჩაზე სიარული. გაკეთებას გვპირდებოდენ და ამის მაგიერ გაკეთებული ქუჩა გაგვიფუჭეს.

ნახალოვკელი ელიბო.

—

— კავკასიის პარიკმახერთა პირველი ამხანაგობა სდუღს და გადადუღს. რა ხელობა გინდათ იქ რომ არ ეწევიან, ექიმობა, სურათების გადაღება, ვაჭრობა, აბლაკატობა, და სხვა. ამ დღეებში კრება გამართეს. თავმჯდომარეობდა დათიკო. მოხსენება წაიკითხა ვანო მუნჯმა. უნდა გენახათ როგორ ჭექდა და ქუხდა, რასაკვირველია მუშების წინააღმდეგ. „თანაშემწეთ მომეცით აბრამ და დავით ლომიძე და მუშების ალაგმვა ჩემი საქმე იყოსო“ გაჰკიოდა განრისხებული ორატორი. სანამ თავის მუქარას სისრულეში მოიყვანდეს ვურჩევთ მიიღოს სპერმაკუდინის წვეთები, რომ მეტის აღელვებისგან გულის ფრიალი არ მოუვიდეს.

ოკრიბელი.

—

სასტუმრო ბორჯომიდან.

ძამო ეშმაკო გიამბობ
ისმინე ჩემი თხრობილი,
წარსულ წელს ევგენ ბატონი
იყო მუშების ძმობილი,
ლაქიათ იყო ნომრებში
მოსამსახურეთ ცნობილი...

ბოლოს გახდა ხაზეინი
აიწია ცხვირი ძაღლა,
წარსული დრო აღარ ახსოვს
ოდეს კუჭი გაიმაგრა!

ამაყურათ თავი მოაქვს
დღეს სულ სხვაა მისი გრძნობა.
რაკი გახდა ხაზეინი
რას უქვია მუშის ძმობა!

ყვავს რომ ერთხელ ფარშავანგათ
მოეჩვენა თვისი თავი,
მაგრამ ფიქრი გაუცრუდა
ბოლოს გახდა ისევ ყვავი,

ეს ახსოვდეს პერტენავას
ძველ ანდაზათ ნათქვამია,
და კიდევაც დავუმტკიცებთ
თუ რამდენათ მართალია!

იგი ლანძღავს მუდამ მუშებს
ზაფხული და ზამთარია,
ტყულს და მართალს ველარ არჩევს
დაბნევია დავთარია!

მუშას ითხოვს კიდეც ლანძღავს
ფულს არ აძლევს თავის დროზე
სპერმაკუდინი ვაწვნიოთ
იქნებ მოვიყვანოთ გონზე!..

სასტუმრო ბორჯომიდან განდევნილი.

ს. მარტვილი. (სამეგრელო) სამ მოსახლე გაწერელიებსა და გლეხებს შორის დიდი უთანხმოებაა საყანე ადგილების შესახებ. გლეხებს უნდათ სანახევროთ დაიმუშაონ მიწები და პირველნი კი სამესამედოს ნაკლებ არ აძლევენ. საქმე მათრახების დამუქრებამდის მივიდა. გლეხები იძულებული ნახევრათ დამუშავებული დატოვონ ყანები დარწმუნებული ვარ შენი მათრახის კუდი მწვავეა და არც დააკლებ მტყუან პირებს, რომლებსაც თვითონ გამოიცნობ. მათ'ში წვერცამეტა ევგენი გთხოვს, რადგან უზომო „ნუნუას“ სიყვარულით მუდამ არა ნორმალურ მდგომარეობაშია, განსაკურნავათ ორასი წვეთი „სპერმაკუდინი“ გადააყლაპოთ. აქითობას მამასახ. მონიავა თუ სადმე შეგხვდეს გაჰკარი მათრახის კუდი.

შენი ყორეი.

—

ფილდიდან. ძმაო ეშმაკო ჩვენაც გვეწიე
თან მოიტანე შენი „ზავთია“
და ნახე ჩვენშიც რა ცოდვილობის
უ'ედურობის ცეცხლი ანთია.
ჩვენაც გვყავს სამი „სულისა მაპა“
ლევან, ივანე, „წმიდა მ.თია“
და მინდა მოკლეთ შეკატყობინოთ
მოქმედება-და რწმენა მათია.

მოქმედებითა ეს „წმინდანები“
მოგაგონებენ მოსეულ მტერსა,
რომელიც ხალხსა სტანჯავს აწვალებს
და აწყევლინებს გაჩენის დღესა.
რწმენ.თ ფული სწამთ, მასედ ჰყიდიან
სვინდის ნამუსსა, ხატსა და ღმერთსა
თავის დევიზათ მათ გაუხდიათ
„ხელი ხელსაო და გოჭი მგელსა“

თუ ვისმე დარჩა გ.დაუხდელი,
წინ გასაძღოლი, ან კოდის პური,
დროს იხელთებენ, შურს იძიებენ
და შეექნებათ ერთი ფაცური.
თუ მკვდარზე სთხოვე, მათი პასუხი
ველური არის, არა კაცური
მოგაგონებენ „ძველსა ნისიას“
თუ არ გადუხდ. გელის პანჩური.

კიდევ ძაოჯან უღვთოთ ტყავს გვაძრობს
ანდრონიკაანთ ბიჭი ყაზბულა
მოურავია ეს უსამართლო
დაუდეგარი ვინმე ავსელა,
ცუდ უბრალოზე ბევრჯელ იმისგან
გლეხის მარჩენი ძროხა დამბულა
მისებრივ შლეგი, ღმერთ. გეფიცები,
ჯერ არ მინახავს, არცა ნახულა.

ისეთიცა გვყავს, ჩემო ეშმაკჯან,
მართალს დასწამოს ტყვილა ცილია
ეს ნაძირალა შილდელი გლეხი
გახლავთ ზაქარა მჭედლიშვილია.
მ.ამეცა გვყავს კაცი ისეთი
რაა არ ესმის მას სირცხვილია
ეს ვაჟბატონი ხინჩაკაშვილი
„კარტისტ“ ნარდისტი გახლავთ ილია.

თვ-ს საქციელით ღმერთს გეჯიცები
გაგვირყვნა მთელი ახალგაზრდობა
„საუჩნაობაში“ შილდელ ყმაწვილებს
გამოუგონა კარტით გართობა:
მოდი ძმაო ჯან, მოგვხედე ჩვენაც,
გაგვიმათრახე ჯერ სამი მღვდელი
მათ მოაგონე, რომ თვითონ ქრისტე
იყო გლახაკთა შემწყნარებელი.
ორჯერ ყაზბულას კარგათ გასცხევი
ნუ არის მხეცი და წამრთმეველი
ასჯერ ზაქარას ათი ილიკოს
მერმე წადი და ნახე ყვარელი.
ყვარელში ნახე ძმაო ჯან
„ნასტარშინალი“ „მიტია“,
დედაკა-ების წამებით
მარდი არის და ცქვიტია,
ბევრ რასმეს მოგახსენებენ
როს „იფარავდა ხიშტია“.
ეხლა თიანეთს შეუხნდა
ტყეს მოურავობს ყმაწვილი,
ბევრჯ ლ ექნება „ძალათი“
ფშავლის გოგოსთან „ხადილი“,
მუქთათ ექნება სულ მუდამ
აუყველგან ვახშამ სადილი,
რომ შენ გვეწვიო ეშმაკჯან
ეს არის ჩვენი წადილი.

ცხო

ორი ხმა

„გახსოვს ის წამი, როცა პირველათ
ჩვენ აქ მოვედით განთიადისას?!
ვიცქირებოდით იქით, ვუცდიდით
ელვარე მნათობს ფირუზა ცისას!
გახს-ვს, ის წამი რა ტკბილი იყო!
გულს რაღაც ცეცხლი ავრთოვანებდა,
შორს მაიწევდა სადღაც სივრცისკენ
და ჩვენც იქითკენ მიგვაქანებდა.
იქ, იმ სივრციდან იმედის სხივი
ჩვენსკენ ეტყორცნა ბედის ვარსკვლავსა,
თვისკენ გვიწვევდა, ჩვენც ვისწრაფოდით,
არა გზოგავდი არც ერთი თავსა.
გახსოვს?—„მახსოვს! როგორ არ მახსოვს!
და მით ძნელია ეგ მოგონება:
მაშვინ დრო იყო „თავისუფლების“
დღეს კვლავ მეფობს „შავი მონობა“
განქრა კარსკვლავი და იმ სივრცეშიც
სრულად დამკვიდრდა სიცალიერე,
ირგვლივ კი, ნაცვლად განთიადისა,
ისევ ღამეა, სიცივ-სიბნელე!
და ამ ყოფაში იმ წამის ხსოვნამ
გული უწყალოთ სევდით დასერა:
იმედი გატყდა, მაჯა მოდუნდა,
ჩანგმა უღონოთ დაიწყო ჟღერა...“
—„ეგ ხომ დროებით!... ჩვენი ვარსკვლავი
ცის კამარონზე კვლავაც ამოვა,
ის გულს იმედით გაასხივოსნებს,
გაიფანტება სევდა და გლოვა...“

ნ. ზომლეთელი.

ლანჩხუთელი მოსწავლეების გოდება.

ეგზამენები დაიწყო
სჩანს სიცხე დაგვადგებაო,
ეს ციდა უთურგაული
საომრათ ემზადებაო.
ზოგი გაყარა სრულიად,
ზოგს ჩაჭრას გვემუქრებაო,
ზოგს აჭერინებს და ზოგსაც
ისე სცემს ვეღარ დგებაო.
კაზარმათ გადააქცია
ჩვენი აღმზრდელი შკოლაო,
მშობლებს გვაგინებს უშვერათ
ღირსება ჩაგვიქოლაო.
მასწავლებლები ვინც ვარგა
გაგდებას ემუქრებაო,
მხოლოთ მას სწყალობს რომელიც
ფეხის ქვეშ გაეგებაო.
გამრავლდნენ უტყვი მონები
არსაიდან ჩანს შველაო,
ნეტა სად არის მათრახი
ფურგისა ასაწველაო.

შხანკოლა.

საყვედურის წერილები.

ჩვენი პროვინციელი კორესპონდენტების მიერ გამოწერილმა მათრახ-სპერმაკუდინმა ბევრ „პაციენტს“ აუწვა ზურგი და რედაქციას აუარებელი საყვედურის წერილები მოსდის მათგან. ზოგი მათგანი სამედიატორო სამართალში იწვევს კორესპონდენტს და ზოგიც უკან უბრუნებს გამოწერილ წამალს. ეჭვი არა გვაქვს, რომ ჩვენი კორესპონდენტები მოქალაქობრივ გამბედაობას გამოიჩენენ და სიმართლეს აღადგენენ. აი წერილები:

ჩოჩხათელი კოჭლი პედაგოგი—„ამას წინათ ეშმაკის მათრახის 19 ნომერში სუფსის რაიონიდან ბ. კასიომ

რიცხვთა შორის მეც არ მომაკლო მისი უხვი წყალობა მათრახსაც არ დაგვაჯერა და ჩარჩ მეყასბესავით კუდინიც კი დაგვიწონა, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ მე მის მიერ მოძღვნილი მათრახის სიმწვავე სულაც არ მიგრძვნია (კურსივი ავტორისაა) ვიწვევ კასიოს სამედიატორო სასამართლოში მედიატორეებათ ვნიშნავ ბ. ვინ ღანს და ჯორიკას. ვადას ვაძლევ 15 დღეს.

რედაქციას იმედი აქვს კასიო პასუხს გასცემს ჩოხატელ პედაგოგს.

—

ექვთიმე კალანდაძე „თქვენი პატივცემული „ეშმაკის მათრახის“ ოც-და-რვა ნომერში მოთავსებულია ბ. ციცკას წერილი ჩემს შესახებ. ვიწვევ ციცკას სამედიატორო სამართალში. მედიატორებათ ვასახელებ იოსებ თხილავას, გიორგი ბასილიას და ა. ცინცაძეს. დეე მათმა მიუდგომელმა მსჯავრმა გააგებიოს ქვეყანას ვისთვის არის საჭირო სპერმაკუდინი და მათრახის კუდი, ჩემთვის თუ ბ. ციცკასთვის“.

ეჭვი არაა: თუ ბ. ციცკამ თავისი სიტყვები ვერ დაამტკიცა და რედაქცია შეცთომაში შეიყვანა, მათრახის კუდი მონახავს თავის ადგილს.

—

სერგეი კოპზირიძე. „უმორჩილესათ გთხოვთ გვაცნობოთ სახელი და გვარი იმ პირისა, რომელიც მეხება მე თქვენ გაზეთ „ეშმაკის მათრახის“ № 28. ჩემს სავაჭროში მიდგია ბილიარდი, რომელიც ყველგან ნება დართულია, სხვა სათამაშო არაფერი მაქ. ჩემს სიმართლის დასამტკიცებლათ ვიწვევ მას ამედიატორო სამართალში, რომლითაც დამტკიცდება ყოველი სიმართლე“.

კორესპონდენტის სახელ-გვარის შეტყობინებაზე უარს ვამბობთ, ხოლო მედიატორე თქვენი ნებაა.

—

ანტონ ნ—ძე. „ქვედა ბახვიდან კაკაბის მოწერილმა წერილმა ძალიან ცუდი გავლენა იქონია ჩემზე. როგორც მისი წერილიდან სჩანს მე შავრაზმელი ვყოფილვარ და ეს ძალიან მეწყინა. მე შავრაზმელი არ ვარ. კაკაბს შეცთომა მოსვლია და გაასწოროს თავის შეცდომა.

კაკაბი ვალდებულია ყურადღება მიაქციოს ანტონ ნ-ძის განცხადებას.

—

მღ. ნიკიფორე ბარაბაძე. „ბ. რედაქტორო (ვბეჭდავთ უცვლელათ) თუ შეიძლებოდეს უკან დაიბრუნეთ თქვენი სპერმაკუდინი (მგონი 30 წვეთი უნდა იყოს) რადგან იგი ყალბია, მთლათ სიცრუეა. ჯაშუშზე მეტის ღირსია თქვენი კორესპონდენტი, რომელიც თავისი არეული ჭკუის ნაყოფს ფაქტათ ასაღებს. ამგვარი მოქმედება რამდენიმეთ უსაქმობის შედეგიც არის, კიდევ არაფერი, რომ ასეთი ჭორი, განზრახ შეთხზული სიცრუე მხოლოთ ეთქვა: არა, იმდენი თავხედობაც შესწევს, რომ სტამბავს ისეთ ცნობას, რომელსაც არავითარი გასამართლებელი მხარე არ აქვს. უკაცრავათ, მე არ ვარ დასუსტებული და მით უმეტეს საპოლიციო სამმართველოში სიარულით და ისიც დრამისთვის. საქმის ვითარება შემდეგ გამოირკვევა, მხოლოთ ეხლა გთხოვთ კანონიერი საშუალება მოგვცეთ, გავსწორდეთ მე და თქვენი კორესპონდენტი (აგენტი) სამედიატორო სამართლით. მან უნდა დამიმტკიცოს მის მიერ გამოქვეყნებული ცნობა თქვენს იუმორისტულ ჟურნალში მოთავსებული № 28 „ხონის რაიონიდან „შენი ეშმაკუნის“ პსევდონიმით და უკეთუ ის ამაზე თანახმა არ იქნება, მაშინ თქვენ იქნებით პასუხის მგებელი“.

მოვახსენებთ მღ. ბარაბაძეს, რომ სპერმაკუდინს საქმის გამორკვევამდე ნუ შეელევა, ხოლო უკეთუ „ეშმაკუნი“ ვერ დააკმაყოფილებს მის მოთხოვნილებას, „სპერმაკუდინიც“ მას გაუგზავნოს.

—

ევგენი ქუთათელაძე. თქვენი ჟურნალის ექვსი აპრილის ნომერში სამტრედიელმა კორესპონდენტმა შეურაცხყოფა მომაყენა, თითქო მე რაღაც თხოვნა დამეწეროს სამტრედიის დილიჟნების პატრონისთვის. ეს სიცრუეა. ვსთხოვ რედაქციას გამოაცხადოს, რომ სამტრედიელმა კორესპონდენტმა შეცთომაში შეიყვანა. თუ ამას რედაქცია არ იზამს, მაშინ გთხოვთ შემატყობინოთ იმ კორესპონდენციის ავტორის გვარი.

რედაქცია ვერც პირველსა და ვერც მეორე თხოვნას ვერ დააკმაყოფილებს, ვიდრე თითონ კორესპონდენტი არ გასცემს პასუხს ამ პატარა თხოვნაზე.

—

აპოლონ მეღუძნე. თქვენი ჟურნალის 28 №-ში ვიღაც გლეხი ს. ქორეისუბნიდან ჩემ შესახებ სწერს, ვითომც ჩემთვის საჭირო იყოს მათრახი და კუდინი, დამიმტკიცოს.

რა თქმა უნდა, საჭიროა დაამტკიცოს.

—

დიმიტრი ზოსიმეს ძე ცეცხლაძე. თქვენი ჟურნალის 28 №-ში ოზურგეთელი კორესპონდენტი „ВЪ“ შეურაცხყოფას მაყენებს. რომ სიმართლე გამოირკვეს, ვიწვევ „ВЪ“-ს სამედიატორო სამართალში. ჩემის მხრით მედიატორეთ ვასახელებ დომენტი ზაალის ძე თალაკვაძეს. თუ ის არ გამომყვა, მაშინ თვით რედაქცია უნდა გამომყვეს.

დიდის სიამოვნებით!

—

ჩოხატაურის ფოსტის უფროსი გ. კეკელიძე. „ეშმაკის მათრახი“-ს 30 ნომერში ჩემ შესახებ დ. ჩოხატაურიდან წერილი იყო მოთავსებული „ფოსტის კონტორის გამგე კეკელიძე ავათ გახდა, სტოლზე აფურთხებს“ და სხვაო. ვაუწყებ კორესპონდენტს, რომ მე სრულიად ჯანსაღათ ვარ და მისი წერილი იმან გამოიწვია, რომ მე მასთან ლაპარაკი მომივიდა და გავლანძღე, რის ღირსიც იყო; ამ ფაქტს მგონი არავითარი საზოგადო მნიშვნელობა არა აქვს და არც საგაზეთო იყო. საყვედურის ღირსია რედაქცია, რომ ასეთ წვრილმან ამბებს ბეჭდავს.

თუ მართლა კორესპონდენტის წერილი ამ უბრალო ფაქტზეა აშენებული, თავზე ხელს არ მოგვისვამთ, მაგრამ ჯერ ვნახოთ რას იტყვის.

—

ბეგლარ მამალაძე—„ბ. ვოლდემარ, მოვითხოვ დამისახელოთ სად და როდის ვხმარობდი მუშტებს კამათის დროს?“

ჯერი ვოლდემარზეა.



„უდარდელი ცხოვრება.

მიკვირს ცხოვრება რათ ჰგონიათ
მძიმე და ძნელი!

როცა ამ რიგათ საამოა
და უდარდელი?

მოგრძოთ და ფრანტათ

სურნელოვან „ნიშადურს“ და მის გმირს

გურულ მჭედელს.

მინდა მარა როგორ ვაქო
ვალიკოის „ნიშადური“,
რავარც გინდა გადაქექოთ
სუნი ადის უცნაური!..

თანამშრომლებს ოხრათ იძენს,
საქმეც კარგათ გამოაწეო,
ერთი გუშხამ ჯაშუშობა
შიგ მჭედელმაც გამოაცხო.

ამ მჭედელზე რადა ითქმის
ან რა ლანძღვა მოუწეობა
ტვინი თდათ რათ არ გაუხმა
რაც ის მუდამ იმასშობა.

ჰირს დაადრეცს, თვალს აბრეცს
გინება რომ მოუნდება,
„ნიშადურის“ სასახელოთ
ხტუნაობს და კდოუნდება.

საზიზღარს და ჰრავაკატორს
მიუგნია კიდეც ბინა,
ჰრემიასაც დუნიშნავს
„ნიშადური“ მაგისთვინა.

ვინ ხიც-ხიცი, ვინ გიორგი,
მაგრამ რაც სურს ისა სწერაზ,
(მაგისთანა ჰოეტებით
ნიშადურმა ისახელოზ).

ხიც ხიც.

რედაქტორ-გამომცემელი თ. ბოლქვაძე.

მე-32 ნომრიდან წლის ბოლომდე

„ეშმაკის მათრახი“

ღირს 3 მანეთად.

ვინც მთელი წლის ფასს 5 მან. გამოუგზავნის რედაქციას, უფასოდ გაეგზავნება გასული წლის „ეშმ. მართ.“ ყველა ნომრები ერთად შეკერილი.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ въ редакцію „Ешмакисъ Матрахи“.

გაზეთი

„ნაშა ქიზნი“

რომელიც დროებით შეჩერებული იყო ტეხნიკურ მიზეზებისა გამო, ხელ-ახლა გამოვა 25 მაისიდან.

რედაქციამ ყოველივე ღონე იხმარა, რომ გაზეთი თავის დროზე გამოვიდეს.

გაზეთში მონაწილეობას მიიღებენ გარდა ადგილობრივისა, სატახტო ქალაქების **მწერლები.**

ელექტრომბეჭდავი, ამხ. „ზრუმა“ რუსკაია ქ. №3.